



სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და  
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030631030046015

19 / მარტი / 2015 წ.

თბილისი #06-49/ა

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და  
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლაბორატორიული  
ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და  
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს  
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/5 ბრძანებით  
დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი  
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლაბორატორიული ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო ინსტრუქცია  
თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი

ამირან გამყრელიძე